



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი

15 სექტემბერი 2016 წ.

ბრძანება № 2/297

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების
თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დაწარმოში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დაწარმოში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).



გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორის

15 09 2016 წლის № 449 ზრძანების
დანართი

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		სააგარაკო შენობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი	არქიტექტურის	XX ს-ის დასაწყისი
2.		უშაკოვის აგარაკი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი	არქიტექტურის	XX ს-ის დასაწყისი
3.		სააგარაკო შენობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი	არქიტექტურის	XX ს-ის დასაწყისი
4.		პომორსკის აგარაკი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი	არქიტექტურის	XX ს-ის დასაწყისი
5.		ლაო ჯინ ჯაოს საცხოვრებელი სახლი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი	არქიტექტურის	XIX ს-ის დასასრული

6.		კოშკურიანი აგარაკი IV რაიონში	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი	არქიტექტურის	XIX ს-ის დასასრული
7.		ზალენსკის აგარაკი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი	არქიტექტურის	XIX ს-ის დასასრული